აკადემიური საბჭო
დადგენილება № 09-51

გორი 21 11 2018წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს არჩევნები, დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ" განცხადება დანართი N1-ის შესაბამისად.

2. არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

3. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ" განცხადების (დანართი N1) გამოქვეყნება დაევალოს:

ა) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) - სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი N1

განცხადება

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 21 ნოემბერს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის 27 დეკემბრის 10 საათიდან, მისამართზე: ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. N53; ოთახი N115.

5. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 04 იანვრის 18 საათი.

6. აკადემიური საბჭოს მიერ შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის არჩევის დღედ განისაზღვროს 2019 წლის 15 იანვარი.

7. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.